



$$a^2 + b^2 = c^2$$

# როგორ შედეგად გამოვა PISA-ს 2022 წლის შედეგები?



#65 - Georgia  
383 Overall PISA Score (2022)



$$x + y$$



$$a + b$$





მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი PISA-ს შეფასებაა, რაც წარმოადგენს OECD-ის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამას, რომელიც 15 წლის მოზარდებში ზომავს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნას და უნარებს. 2022 წლის შეფასებაში 81 ქვეყანა მონაწილეობდა, რომელთა შორის საქართველომ 65-ე ადგილი დაიკავა. 2018 წელს, ამავე რეიტინგში საქართველო 70-ე ადგილს იკავებდა, თუმცა, რეიტინგში დაწინაურების მიზეზი არა გაუმჯობესებული შედეგები, არამედ სხვა ქვეყნების დაბალი შედეგებია.

მათემატიკის კომპონენტში საქართველო 390 ქულით 60-ე ადგილს იკავებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 66-ე, ხოლო წაკითხულის გააზრებაში კი - 67-ე ადგილს.

სამივე კომპონენტი ფასდება სირთულის 6 დონით. მათემატიკასა და წაკითხულის გააზრებაში სირთულით პირველი (ყველაზე მარტივი) დონე 3 ქვეკომპონენტად იყოფა, ხოლო მეცნიერებაში 2-ად. სამივე კომპონენტში სირთულის მე-2 დონე ითვლება საბაზისო დონედ.

მათემატიკაში საბაზისო დონე გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია მათემატიკის გამოყენება მარტივ რეალურ სიტუაციებში. მოსწავლეები, რომლებიც ვერ ძლევენ სირთულის მეორე დონეს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში და ჰქონდეთ მაღალანაზღაურებადი სამუშაო. სირთულის დონეების მატებასთან ერთად მოსწავლეებს მოეთხოვებათ არასტანდარტული დავალებების კრეატიულად შესრულება.


წაკითხულის გააზრებაში საბაზისო დონე გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია საშუალო ზომის ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანა, საკითხების შედარება და დაკავშირება. სირთულის დონის მატებასთან ერთად მოსწავლეს მოეთხოვება კომპლექსური ტექსტების კრიტიკულად გაანალიზება, სხვადასხვა ტექსტებში საკითხების დაკავშირება და შედარება. ხოლო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზისო დონეზე მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მარტივი მონაცემების მიხედვით დასკვნების გაკეთება.

საქართველოდან შეფასებაში 267 სკოლის 6,583 მოსწავლე მონაწილეობდა, რაც დაახლოებით 40,400 15 წლის ასაკის მოსწავლის რეპრეზენტატულია და ამ ასაკის მოსწავლეთა 86%-ს ფარავს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> შენიშვნა: მიმოხილვაში ანალიზისთვის გამოყენებულია OECD-ის მიერ გამოქვეყნებული PISA-ს 2022 წლის ანგარიშის მონაცემები, <https://www.oecd.org/pisa/data>

გრაფიკი 1. საქართველოს შედეგები PISA-ს შეფასებაში, 2009-2022




წყარო: OECD

2022 წლის ანგარიშის მიხედვით, გაუარესებულია შედეგები კითხვის და მათემატიკის კომპონენტებში და მხოლოდ ერთი ქულით გაუმჯობესდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 2018 წელს მიღებული შედეგი. წაკითხვის გააზრებაში 15 წლის მოსწავლეების მიერ მიღებული შედეგები უტოლდება 2009 წელს ქართველი მოსწავლეების მიერ მიღებულ შედეგს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა 65%-67%-მა ვერც ერთ საგანში გადალახა სირთულის მეორე დონე, რაც საბაზისო დონის უნარებს შეესაბამება.

წლების განმავლობაში მცირდება OECD-ს ქვეყნების საშუალო ჯამური ქულაც, თუმცა, საქართველოს მაჩვენებლები სამივე კომპონენტში მკვეთრად ჩამოუვარდება OECD-ს საშუალო მაჩვენებლებს.

გრაფიკი 2. საქართველოს და OECD-ს საშუალო ჯამური ქულა, 2009-2022




წყარო: OECD

გოგონების შედეგები სამივე კომპონენტში აღემატება ბიჭების შედეგებს. განსაკუთრებით დიდია სხვაობა წაკითხულის გააზრებაში (35 ქულა), ხოლო მათემატიკაში მეტ-ნაკლებად მსგავსი შედეგებია.

საკმაოდ მაღალია და თითქმის თანაბარი მათემატიკაში დაბალი ქულების მქონე გოგონების (66%) და ბიჭების (67%) წილი, მაშინ როდესაც საუკეთესო შედეგები ორივე შემთხვევაში 1%-ს აქვს. ასევე, თითქმის თანაბარია იმ გოგონებისა და ბიჭების მაჩვენებლები რომელთაც აქვთ მაღალი უნარები მეცნიერებასა და კითხვაში (სირთულის 5-6 დონე), მათი წილი 0.1-0.3%-ს შორის მერყეობს.

გრაფიკი 3. გოგონებისა და ბიჭების საშუალო ქულები საგნების მიხედვით, 2022




წყარო: OECD

თუ განვიხილავთ შედეგებს სოციო-ეკონომიკურ ჭრილში, 2015 წელთან შედარებით შემცირდა სხვაობა მათემატიკის ქულებს შორის მაღალი და დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა შედეგებს შორის და 65 ქულა შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი OECD-ს ქვეყნების შემთხვევაში საშუალოდ 93 ქულაა. სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა დაახლოებით 14%-მა მიიღო მაღალი შედეგები მათემატიკაში (მოსწავლეთა ტოპ 25%), რაც ასევე, აღემატება OECD-ს საშუალო მაჩვენებელს (10%).

მეზობელი ქვეყნებიდან შეფასება მხოლოდ თურქეთსა და აზერბაიჯანში (ბაქო) ჩატარდა, თურქეთის საშუალო მაჩვენებელი 79 ქულით აღემატება, ხოლო ბაქოს მაჩვენებელი 2 ქულით ჩამორჩება საქართველოს მონაცემს (383). პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ უზბეკეთს ვუსწრებთ, სხვა ქვეყნებთან შედარებით კი დაბალია საქართველოს მაჩვენებლები სამივე კომპონენტში.


გრაფიკი 4. ქვეყნები საშუალო ქულების მიხედვით, 2022



წყარო: OECD

პოსტსაბჭოთა და მეზობელ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოს მაჩვენებელი (66.4%) იმ მოსწავლეებში, რომელთაც მათემატიკაში ვერ გადალახეს საბაზისო უნარების დონე. ანალოგიური მაჩვენებელი წაკითხვის გააზრებაში 67%-ია, ხოლო მეცნიერებაში - 65% და ჩამორჩება ყველა ქვეყანას, გარდა აზერბაიჯანის და უზბეკეთისა.

გრაფიკი 5. მოსწავლეთა წილი რომელთაც ვერ დაძლიეს სირთულის მეორე დონე, ქვეყნების მიხედვით, 2022




წყარო: OECD

თუ შევადარებთ სამივე საგანს, 5-6 სირთულის დონე ქართველმა მოსწავლეებმა მეტად დაძლიეს მათემატიკაში, ვიდრე წაკითხვის გააზრებასა და მეცნიერებაში, თუმცა, შედეგები

არ სცდება 1%-ს (1.1%, 0.2%, 0.2%, შესაბამისად). გამოდის, რომ მათემატიკაში, შეფასებაში მონაწილე მოსწავლეებიდან მხოლოდ 72-მა დაძლია რთული დონე, ხოლო წაკითხულის გააზრებას და მეცნიერებაში 13-13-მა. შესაბამისად, 444, 81 და 81 თუ შედეგს გავავრცელებთ 15 წლის ყველა მოსწავლეზე.

გრაფიკი 6. მოსწავლეთა წილი რომელთაც დაძლიეს სირთულის მეხუთე ან მეექვსე დონე, ქვეყნების მიხედვით, 2022



წყარო: OECD

უნარების მაღალი დონის მქონე მოსწავლეების წილი, საქართველოს მსგავსად 1%-მდე მერყეობს აზერბაიჯანსა და მოლდოვაში. თუმცა, ჩამოუვარდება ბალტიისპირეთის და OECD-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს.

PISA-ს ქულების გათვალისწინებით სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის და განათლების ხარისხი დაბალია საქართველოში და წლების განმავლობაში ვერ პროგრესირებს. აღნიშნულის მიზეზად შესაძლებელია განხილულ იქნას ქვეყანაში განათლების სექტორის კომპლექსური გამოწვევები, რომლებიც IDFI-ს არაერთ კვლევაშია მიმოხილული. მათ შორის, მასწავლებლის პროფესიის მიმზიდველობის ნაკლებობა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსწავლეების შეზღუდული წვდომა ლიტერატურასთან და სასწავლო მასალებთან, სკოლების დაბალი ხარისხის ტექნიკური აღჭურვილობა და შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაცია და სხვა. უკანასკნელი განსაკუთრებით პრობლემური იყო COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებდა PISA-ს 2022 წლის შეფასების შედეგებში.

PISA-ს 2022 წლის შედეგები კვლავ აჩვენებს, რომ ბოლო წლებში საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები, ვერ უზრუნველყოფს სათანადო შედეგს, სისტემა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშეა და დამატებით მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს.

**ქვემოთ ჩვენს მიერ მიმოხილულია 10 მიზეზი, რასაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა ქონდეს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებაზე:**

1. სრულფასოვანი განათლების მიღების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია **სიღარიბე**, რის გამოც მოსწავლეებს არ მიუწვდებათ ხელი საგანმანათლებლო მასალებზე, ვერ ერთვებიან შემეცნებით/სპორტულ აქტივობებში. 2023 წლის ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევის მიხედვით<sup>2</sup>, საქართველოში მცხოვრები ბავშვების 60%-ზე მეტს აქვს მინიმუმ ერთი მატერიალურ-სოციალური დანაკლისი. აღნიშნული დანაკლისი სოფლად მცხოვრები ბავშვების თითქმის ნახევარს აქვს (47%). ბავშვების 37.8%-სთვის ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ სამ ან მეტ საჭიროებას, რაც აღემატება ბავშვებში აბსოლუტური სიღარიბის დონეს – 19.6%-ს. აქედან, ბავშვების 23.4%-ს აქვს მხოლოდ მატერიალური და სოციალური დანაკლისი, 5.3%-ს - მხოლოდ აბსოლუტური სიღარიბე და ბავშვების 14.3% ერთდროულად ორივე მდგომარეობაშია. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებიდან 10.5%-ია იმის ალბათობა, რომ ფუნქციური სირთულე ჰქონდეთ, მაგ., ჰქონდეთ სწავლის, მხედველობის, ქცევის კონტროლის, მეხსიერების, კონცენტრაციის ან სხვ. სირთულე. ამასთან, ბავშვების მესამედზე მეტი არ იკვებება სკოლაში და მატერიალური მდგომარეობის გამომდინარე. მოსწავლეთა 45%-ს არ აქვს მისთვის სასურველი სულ მცირე ერთი საგანმანათლებლო მასალა, მაგ., კომპიუტერი, წიგნი, სახატავი მასალა, სხვ.
2. გამართული და ადაპტირებული **სასკოლო ინფრასტრუქტურის** გარეშე შეუძლებელია მაღალი ხარისხის განათლების მიღება, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისთვის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ შეცვლილა საჯარო სკოლების რაოდენობა და შეადგენს 2,086-ს, მაშინ როცა მოსწავლეთა რაოდენობა ამავე პერიოდში 37,700-ით გაიზარდა. ამასთან, 200-მდე სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელი ვერ დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოების გახანგრძლივების გამო<sup>3</sup>. მაგ., ნაძალადევის რაიონში 4 სკოლაა დანგრეული, რომელთა მოსწავლეები თბილისის რამდენიმე სხვადასხვა სკოლაში გადანაწილდნენ<sup>4</sup>. სკოლებში მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე, რადგან მოსწავლეთა ნაწილს გაკვეთილები დღის მეორე ნახევარში, მაგ. 16:00-ზე ეწყება.
3. PISA-სა და სხვა საერთაშორისო შეფასებებში მოსწავლეთა დაბალი მოსწრების განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შესაძლებელია განვიხილოთ **მასწავლებლის კვალიფიკაცია**. 2010 წელს დაიწყო *მასწავლებელთა სერტიფიცირების* პროცესი საქართველოში, რომელიც თავდაპირველად ნებაყოფლობითი იყო. სერტიფიცირებამ მასწავლებლებს საშუალება მისცა, სასერტიფიკაციო გამოცდის შემდეგ მიეღოთ უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და უფრო მაღალი ანაზღაურება<sup>5</sup>. 2015 წლიდან 2020 წლამდე, მასწავლებელთა 21%-ს სტატუსი არ შეუცვლია და პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა. 2017-2019 წლების მონაცემების მიხედვით, წამყვანი მასწავლებელი საქართველოს მასშტაბით საშუალოდ მხოლოდ 2%-ია, რომლებიც დასაქმებულნი არიან არსებული სკოლების მხოლოდ 25%-ში, ხოლო რაც შეეხება უმაღლეს

<sup>2</sup> [ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა](#)

<sup>3</sup> <https://bm.ge/news/tslobit-dangreuli-skolebi-tbilisshi-ras-itkhoven-mshoblebi>

<sup>4</sup> <https://www.etaloni.ge/geo/main/index/92772>

<sup>5</sup> <https://bm.ge/ka/article/pedagogebis-10-ze-meti-kompetencias-ver-adasturebs---reformis-10-weli-dasavalalo-shedegebi/97396>



საფეხურს – მენტორს, ასეთი სტატუსის მქონე მასწავლებელი განათლების სისტემაში მხოლოდ 0.4%-ია<sup>6</sup>.

2017-2019 წწ. სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასული მასწავლებლების მხოლოდ 1.5%-მა შეძლო ორივე გამოცდაზე 60%-იანი ზღვრის გადალახვა. 2021 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, სკოლებში მომუშავე 58,870 მასწავლებლიდან 49,785-მა მასწავლებელმა გამოცდების და სხვა აქტივობების გზით შეძლო და ნაწილობრივ ან სრულად დაადასტურა საკუთარი კომპეტენცია, თუმცა პედაგოგების მთლიანი რაოდენობის 11.5%-მა (6,780-მა პედაგოგი), საკუთარ საგნობრივ გამოცდაში კომპეტენცია ვერ დაადასტურა<sup>7</sup>. მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული კვალიფიკაციის მინიმალური ზღვარი დაბალია საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ დონეზე (70%).

2020 წლიდან უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის განისაზღვრა ტრენინგების გასავლელად სავალდებულო საათების რაოდენობა, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული დარგებისა და კარიერული საფეხურების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ მოდულები, ასევე არ არის შემუშავებული მასწავლებელთა გადამზადების ეტაპობრივი და თანმიმდევრული გეგმა<sup>8</sup>. ADB-ს დაკვირვებით<sup>9</sup>, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით არ არსებობს სისტემური ცვლილებების გეგმა, იგი ხდება არაორგანიზებულად, გულისხმობს დროებით ინიციატივებზე რეაგირებას. IDFI-ის მიერ ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა და რეგიონულმა შეხვედრამ გამოკვეთა, რომ მასწავლებლებს უწევთ სხვადასხვა ტრენინგის გავლა სახელფასო დანამატის მისაღებად, თუმცა, ტრენინგები არ ითვალისწინებს თითოეული მათგანის საჭიროებებს<sup>10</sup>.

4. განათლების სისტემის ძირეული რეფორმის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი, შესაძლოა, იყოს **სკოლის პოლიტიზირება/დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი**. სხვადასხვა ანგარიშები ცხადყოფს, რომ საჯარო სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ხშირად არიან ჩართული საარჩევნო პროცესში, ხოლო მათი ბენეფიტები დაკავშირებულია საარჩევნო ციკლთან.

- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ანგარიშების მიხედვით<sup>11</sup>, ხშირია საჯარო სკოლების დირექტორების/მასწავლებლების საარჩევნო კამპანიაში ჩართვის იძულება, ხოლო ბერკეტად სამსახურის შენარჩუნების გამოყენება. მაგ., 2020 წელს უფლებამოსილების ვადა ამოწურულ დირექტორთა ნაწილს (11%-ს) შერჩევითი

<sup>6</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, [მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017-2019 წწ. ეფექტიანობის აუდიტი](#)

<sup>7</sup> <https://bm.ge/ka/article/pedagogebs-10-ze-meti-kompetencias-ver-adasturebs---reformis-10-weli-da-savalalo-shedegebi/97396>

<sup>8</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, [მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017-2019 წწ. ეფექტიანობის აუდიტი](#)

<sup>9</sup> Proposed Loans Georgia: Improving Learning Outcomes in Secondary Education Sector Development Program, ADB, 2022

<sup>10</sup> [https://idfi.ge/public/upload/00\\_studies/GEO\\_IDFI\\_Education\\_2022.pdf](https://idfi.ge/public/upload/00_studies/GEO_IDFI_Education_2022.pdf)

<sup>11</sup> ISFED, 2022 წლის 20 ივნისის საჯარო სკოლების სამეურვეო არჩევნების მონიტორინგის ანგარიში <https://drive.google.com/file/d/1rjEGXithk8p1gpFHUEJZ9KRG3rhrZoFp/view>

სამართლით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე უარი ეთქვა<sup>12</sup>.

- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIIR) დაკვირვებით<sup>13</sup>, გასულ წლებში, საარჩევნო ციკლს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე და მათ პროფესიულ განვითარებაზე. მაგ., 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც:
  - სერტიფიცირების მიუხედავად, ყველა მასწავლებელი, ავტომატურად გადანაწილდა სხვადასხვა კატეგორიაში და ჩაერთო პროფესიული განვითარების სქემაში, კომპეტენციის დადასტურება და სტატუსის ამაღლება.
  - არასერტიფიცირებულ პედაგოგებს მიენიჭათ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, მიეცათ 4 წლის ვადა ამ სტატუსის ასამაღლებლად და ეს ვადა გარკვეული პირობებით რამდენჯერმე გადავადდა, პროფესიული უნარების გამოცდის ვალდებულება ჩანაცვლდა კრედიტების დაგროვების ალტერნატიული სისტემებით და ალტერნატიული კრედიტების დასაგროვებლად მასწავლებლებს მიეცათ 3+1 წლის ვადა.

სერტიფიცირების პროცესის გამარტივების ტენდენცია იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვისაც:

- აღსანიშნავია, რომ 2015-2020 წლების პერიოდში, 33 ათასამდე მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და მათგან 70,7%-მა (23,360) სწორედ 2019-2020 წლებში.
- 2020 წელს, პრაქტიკოს მასწავლებლებს დროის ამოწურვის მიუხედავად, დამატებითი გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა მიეცათ სტატუსის ასამაღლებლად 2020 წლის შემოდგომაზე.

სკოლების დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე მეტყველებს სკოლის დირექტორთა არჩევნებთან დაკავშირებული გამოწვევები. მაგალითად, 2023 წელს სკოლის დირექტორთა არჩევნები 2074 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა, თუმცა კონკურსში 1,409 კანდიდატი მონაწილეობდა. CCIIIR-ის დაკვირვებით<sup>14</sup>, რეალური არჩევნები სკოლების მხოლოდ 18.4%-ში ჩატარდა, რადგან დანარჩენ სკოლებში ან სერტიფიცირებული კანდიდატი არ დარეგისტრირებულა, ან მხოლოდ ერთი კანდიდატია რეგისტრირებული. განსაკუთრებით საყურადღებოა მდგომარეობა სოფლად, რადგან ამ შემთხვევაში რეალური კონკურსი მხოლოდ სოფლის სკოლათა 10%-შია.

##### 5. სკოლების დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს მათი მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით აღჭურვას, მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებით დაკომპლექტებას, მნიშვნელოვანი


<sup>12</sup> ISFED, უფლებამოსილების ვადის გასვლა, როგორც სკოლის დირექტორთა დასჯის მექანიზმი <https://drive.google.com/file/d/1AKEyVZwSmIsL69ro44rR0lgOMm8ibRuf/view>

<sup>13</sup> [2023 წლის ნოემბერის ანგარიში, მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა 2005-2023 წლებში](#)

<sup>14</sup> [https://cciiir.ge/images/Directors\\_Bulletin\\_pdf.pdf](https://cciiir.ge/images/Directors_Bulletin_pdf.pdf)

როლი აქვს განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. განათლების დაფინანსება, როგორც ბიუჯეტის ხარჯების წილი 2018 წლიდან მცირდება და 2022 წელს 14.8% შეადგენდა. განათლების ხარჯები როგორც მშპ-ს წილი ჩამორჩება OECD-ის საშუალო მაჩვენებელს - 5.3%-ს<sup>15</sup>.

გრაფიკი 7: განათლების სექტორის დაფინანსება, 2012-2022 წწ.




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი, IDFI

მასწავლებლის ანაზღაურება - მიუხედავად იმისა, რომ 2015-2022 წლებში, მასწავლებლის სახელფასო დანამატის ზრდის ხარჯზე, განათლებაში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება წლიდან წლამდე იზრდებოდა, საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო (905 ლ) ხელფასი, ისევე როგორც სექტორის მედიანური (747 ლ) ხელფასი ჩამორჩება ქვეყანაში არსებულ მედიანურ ხელფასს (1040 ლ, 2022 წ.), რაც ნიშნავს რომ განათლების სექტორში დასაქმებულთა დიდ ნაწილს დაბალი ანაზღაურება აქვს<sup>16</sup>.

<sup>15</sup><https://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GD.ZS?locations=OE> 2020 წლის მონაცემები

<sup>16</sup> [დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი, 2022](#)

გრაფიკი 8: საშუალო ხელფასი განათლების სექტორში (სახელმწიფო და კერძო სექტორი), 2014-2022 წწ.



წყარო: საქსტატი

მოსწავლეების დაფინანსება - 2023 წლიდან გაიზარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერები, რომლებიც განისაზღვრება ერთ მოსწავლეზე გათვლილი საბაზო ფინანსური ნორმატივისა და შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლით. ვაუჩერის მოცულობა განსხვავდება სკოლების ტიპების (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი, მაღალმთიანი რეგიონის), მოსწავლეთა რაოდენობის და კლასების მიხედვით და შემდეგნაირად ნაწილდება<sup>17</sup>:

ვაუჩერის მოცულობები 1-8 კლასების მოსწავლეებისთვის:

მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერის მოცულობა ქართულენოვან სკოლებში		ვაუჩერის მოცულობა არაქართულენოვან სკოლებში	
	მაღალმთიან დასახლებაში მდებარე	არამაღალმთიან დასახლებაში მდებარე	მაღალმთიან დასახლებაში მდებარე	არამაღალმთიან დასახლებაში მდებარე
<b>170-205</b>	723	525	711	510
<b>206-299</b>	720	720	708	504
<b>300-530</b>	702	702	693	501
<b>531-735</b>	690	690	672	486
<b>736-1269</b>	678	678	660	477
<b>&gt;1269</b>	666	666	651	474

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5690454?publication=0>

ვაუჩერის მოცულობები 9-12 კლასების მოსწავლეებისთვის:

მოსწავლეთა რაოდენობა	ვაუჩერის მაღალმთიან დასახლებაში სკოლებში	მოცულობა მდებარე	ვაუჩერის არამაღალმთიან დასახლებაში სკოლებში	მოცულობა მდებარე
170-205	852		621	
206-299	849		618	
300-530	828		615	
531-735	810		606	
736-1269	801		594	
>1269	786		579	

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

მოსწავლეების დაფინანსებისთვის გამოყოფილი ვაუჩერის მოცულობა უფრო მაღალია ქართულენოვანი სკოლების და ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სკოლებისთვის.

- საქართველოს სკოლის მოსწავლეების განათლების არსებული ხარისხი, ცალსახად არსებული სკოლის პროგრამის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. IDFI-ს კვლევებში, სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოწვევებზეა საუბარი. მაგალითად, სახელმძღვანელოების თარგმნის დაბალი ხარისხი, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის<sup>18</sup>.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარდა, არ არსებობს მოსწავლეთა შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც პერიოდულად შეაფასებს მათი სწავლის ხარისხს, პროგრესს. უფრო მეტიც, ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებებით, კიდევ უფრო გართულდა სწავლების შედეგების გაზომვა, მაგ., 2020 წლიდან მოიხსნა საატესტატო გამოცდები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში სკოლას მოსწავლეების 96% ამთავრებს, რაც სამხრეთ კორეის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში<sup>19</sup>.

- PISA-ს 2022 წლის შეფასებაში, ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია **COVID-19 პანდემია**, რამაც გარკვეული გავლენა იქონია სწავლების ხარისხზე, მათ შორის, ქართველი მოსწავლეების შედეგებზე. ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა დისტანციური სწავლების რეჟიმს: მასწავლებლებს და მშობლებს არ ჰქონდათ დისტანციური კლასების მართვის, დასწრებისა და საშინაო დავალების ატვირთვისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, შინამეურნეობათა 38%-ს არ ჰქონდა კომპიუტერი, ხოლო 16%-ს ინტერნეტი. სოფლებში შინამეურნეობების წილი, ვისაც კომპიუტერი და ინტერნეტი არ ჰქონდათ 68%-ს და 26%-ს შეადგენდა, შესაბამისად და ქალაქებში იგივე მაჩვენებლები 24% და 9% იყო. ამასთან, TEAMS-ის სასწავლო პროგრამით არ უსარგებლია მასწავლებელთა და მოსწავლეთა 11%-ს.

<sup>18</sup> [https://idfi.ge/public/upload/00\\_studies/GEO\\_IDFI\\_Education\\_2022.pdf](https://idfi.ge/public/upload/00_studies/GEO_IDFI_Education_2022.pdf)

<sup>19</sup> [https://idfi.ge/public/upload/Analysis/covid\\_19\\_and\\_the\\_georgian\\_education\\_sector.pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/covid_19_and_the_georgian_education_sector.pdf)

ამ პერიოდში, COVID-19-ის პანდემიამ კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა -5%-ით შემცირა, უმეტესად საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ, მოსწავლეთა თითქმის 1.4%-მა საერთოდ მიატოვა სკოლა 2019/2020 სასწავლო წელს<sup>20</sup>.

შემოღებულმა შეზღუდვებმა და დისტანციური სწავლის მიმართ გამოუცდელობამ, სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის შეფერხების გამომწვევ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ. IDFI-ს მიერ ჯერ კიდევ 2021 წელს განხორციელებული [კვლევები](#), პანდემიის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე, საკმაოდ დიდ დანაკარგებს პროგნოზირებდა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები, რომელიც განათლების სექტორზე COVID19-ის უარყოფითი ეფექტის შემსუბუქებას ემსახურებოდა. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების კუთხით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, რაც უზრუნველყოფდა სასწავლო დანაკარგების შემცირებას.

- 8. მოსწავლეთა დაბალი მოსწრება და შედეგები ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში** განათლების სისტემის უმთავრესი გამოწვევაა. საგანგაშოა ქართველ მოსწავლეთა შედეგები, პიზას გარდა, სხვა საერთაშორისო შეფასებებშიც. მაგ., საქართველო არც TIMSS<sup>21</sup>-ის საერთაშორისო შეფასებაში აჩვენებს მაღალ შედეგებს და ჩამორჩება სომხეთის, ყაზახეთის, ლიეტუვას, თურქეთის შედეგებს. მართალია, აღინიშნება საშუალო სკალირებული ქულის<sup>22</sup> ზრდა საგნისა და კლასის მიხედვით (გრაფიკი 1), თუმცა, 2019 წლის შედეგებიც ჩამორჩება საერთაშორისო დონეზე დადგენილ საშუალო სარეიტინგო ქულას (500), ისევე როგორც პოსტ-საბჭოთა და რეგიონის ქვეყნების ქულებს<sup>23</sup>.

<sup>20</sup> [https://idfi.ge/public/upload/Analysis/covid\\_19\\_and\\_the\\_georgian\\_eduaction\\_sector.pdf](https://idfi.ge/public/upload/Analysis/covid_19_and_the_georgian_eduaction_sector.pdf)


<sup>21</sup> მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა

<sup>22</sup> სკალირებული ქულის გამოთვლა განსხვავდება კლასისა და საგნის მიხედვით. მაგ., მე-4 კლასის მათემატიკის გამოცდაში სკალირებული ქულა მიიღება IRT (item response theory) თეორიაზე დაფუძნებული რეგრესიით, რომელშიც ინტეგრირებულია 6 კომპონენტი - 3 შინაარსობრივი (რიცხვები, გაზომვა და გეომეტრია, მონაცემები) და 3 კოგნიტური (ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა). ჰეგრესია თითოეული კითხვისთვის განსაზღვრავს, 6-დან რომელი კომპონენტი მიესადაგება კითხვას და შესაბამისად აგენერირებს სკალირებულ ქულას. მოსწავლის საბოლოო სკალირებული ქულა არის სწორი პასუხების სკალირებულ ქულათა ჯამი. (წყარო: თიმსის შედეგები)

<sup>23</sup> <https://naec.ge/uploads/postData/20->

[22/TIMSS\\_2019\\_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf](https://naec.ge/uploads/postData/20-22/TIMSS_2019_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf)

გრაფიკი 9: საქართველოს TIMSS-ის შედეგები წლების მიხედვით



წყარო: IEA<sup>24</sup>, NCES<sup>25</sup>, IDFI

საქართველომ 2006 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) შეფასებაში და მას შემდეგ კვლევის 3 ციკლში შეფასდა (2006, 2011 და 2016 წლებში) შედეგებით: 471, 488 და 488. ქართველი მოსწავლეების შედეგები 17 ერთეულით გაუმჯობესდა 2006-დან 2011 წლამდე, თუმცა ცვლილება არ შეინიშნება 2016 წლის მონაცემებში. საქართველოს შედეგები თითოეულ შეფასებაში ჩამორჩება საერთაშორისო საშუალოს (500 ქულას), 2016 წლის მონაცემებით, ქვეყნების რეიტინგში 37-ე ადგილს იკავებს, რაც წინა (2011 წლის) შეფასებასთან შედარებით 3 პოზიციით გაუარესებული შედეგია.

საერთაშორისო რეიტინგებში გაუარესებული შედეგები გასაკვირი არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ 2012-2018 წლებში საატესტატო გამოცდებში საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდებოდა. განსაკუთრებით მძიმე იყო 2016-2018 წლის მონაცემები, როდესაც მოსწავლეების 25%, 27% და 24.5%, შესაბამისად, დარჩა საგამოცდო ზღვარს მიღმა.<sup>26</sup> გამოცდებზე მოსწავლეებს განსაკუთრებით უცხო ენა და მათემატიკა უჭირდათ. 2011-2017 წლებში ორივე საგანში თითქმის ერთნაირად მძიმე შედეგები იყო, 2018 წელს კი, მათემატიკაში ჩაჭრილთა რაოდენობამ გადააჭარბა უცხო ენებში ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობას.<sup>27</sup> გაუარესებული შედეგების პასუხად კი 2020 წლიდან საერთოდ გაუქმდა საატესტატო გამოცდები. ამასთან, 2020 წლიდან, აღარ არის სავალდებულო ზოგადი უნარების გამოცდა, რასაც დადებითი გავლენა ჰქონდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მაჩვენებელზე.

<sup>24</sup> the International Association for the Evaluation of Educational Achievement

<sup>25</sup> the National Center for Education Statistics

<sup>26</sup> გურგენაშვილი, საქართველოს განათლების სისტემა, 2018 წ.

<sup>27</sup> გურგენაშვილი, საქართველოს განათლების სისტემა, 2018 წ. (ცხრილი 6)

9. სრულფასოვანი განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ყველა მოსწავლისათვის. განსაკუთრებით დაბალია მოწყვლადი ჯგუფების ინკლუზიურობა განათლების სისტემაში. „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა“-ს მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა 5.8% პროცენტს აღენიშნება რომელიმე ფორმის ფუნქციური სირთულე, მათ შორის შშმ პირის ოფიციალური სტატუსი კი მხოლოდ ბავშვების 12.6%-ს აქვს. ფუნქციური სირთულეები უფრო ხშირია სასკოლო ვიდრე სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.<sup>28</sup>

საშუალო განათლების მიღების მაჩვენებელი და სწავლების შედეგები ძალიან დაბალია იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომლებიც სოციალურად დაუცველ ფენას ან უმცირესობების ჯგუფს მიეკუთვნებიან. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოკვეთილია იმიგრანტი ჯგუფების წარმომადგენელი მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა შედეგებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წილი აქვს საერთაშორისო სტუდენტების შეფასების პროგრამაში.<sup>29</sup>

2023/24 სასწავლო წელს სულ 12,801 სსსმ და/ან შშმ მოსწავლეა, რაც არც ისე მაღალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგ., TALIS-ის 2018 წლის გამოკითხვის მიხედვით, ქვედა საბაზისო საფეხურის მასწავლებლების მხოლოდ 4.4%-ს ჰყავს კლასში 10%-ზე მეტი სსსმ მოსწავლე, მაშინ როდესაც OECD-ს ქვეყნებში საშუალოდ 27.4%-ს, ხოლო მაგალითად, ფინეთში - 25.7%-ს აღწევს. თუმცა, სსსმ მოსწავლეთა დაბალი მაჩვენებელს ისიც განაპირობებს, რომ სტატუსის დადგენა სამედიცინო მოდელით ხდება, რომელიც ფუნქციურ სირთულეებს არ ითვალისწინებს<sup>30</sup>.

10. ბავშვების აკადემიურ შედეგებზე მშობლების ჩართულობას სხვადასხვა გავლენა აქვთ და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმით არის მშობელი ჩართული, რა ასაკისაა მოსწავლე და როგორ იზომება მოსწავლეთა მიღწევები.<sup>31</sup> დაკვირვებამ აჩვენა, რომ დაწყებით კლასებში მშობლების მიერ მოსწავლეებისთვის წიგნების კითხვა, ხოლო უფროს ასაკში მათთან ერთად სოციალური და პოლიტიკური საკითხების განხილვა დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე. ასევე, დადებითი შედეგები აქვს მშობლების ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში, მაგ., სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებას. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის არ არის აუცილებელი მშობელი მუდმივად მონაწილეობდეს საშინაო დავალებების მომზადებაში. მშობლის მიერ სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობა,

28

<https://www.unicef.org/georgia/media/8226/file/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf>

<sup>29</sup> Proposed Loans Georgia: Improving Learning Outcomes in Secondary Education Sector Development Program, ADB, 2022

30

<https://www.unicef.org/georgia/media/8226/file/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf>

<sup>31</sup> <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5k990rk0jsjien.pdf?expires=1681392294&id=id&accname=guest&checksum=00897B81D2ABE681F92359F7FAE6BBE0>



სახლში სხვადასხვა ლიტერატურის კითხვა შვილისთვის ის მაგალითებია, რითიც მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება შესაძლებელი<sup>32</sup>. PIRLS-ის შედეგების, მათ შორის საქართველოს მონაცემების, ანალიზიდან ჩანს, რომ რაც მეტად უყვართ მშობლებს კითხვა და მეტად არიან ჩართულნი შვილების წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებში, მით უკეთესი მაჩვენებელი აქვთ მოსწავლეებს. ეს შედეგი კონსისტენტურია სკოლის ადგილმდებარეობის (ქალაქი/სოფელი) და ტიპის (კერძო/საჯარო) მიხედვით<sup>33</sup>.

## დასკვნა

მიმოხილვაში გამოკვეთილია ის 10 მიზეზი, რაც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვნად აფერხებს განათლების სისტემის განვითარებას. განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილია გარკვეული რეფორმების განხორციელება, მაგალითად, იზრდება განათლების სამინისტროს დაფინანსება, რომლის დიდი ნაწილი მასწავლებლების ხელფასების ზრდისთვის არის განკუთვნილი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, 2024 წლის ივლისიდან, სრული დატვირთვის პირობებში, მასწავლებლების ხელფასი, მათი სტატუსის მიუხედავად, საშუალოდ 500 ლარით და მეტი გაიზრდება და ეს ცვლილება მასწავლებელთა კორპუსის (51,090) 70%-ს შეეხება<sup>34</sup>. ასევე, დაგეგმილია განათლების ინფრასტრუქტურაზე გასაწევი ხარჯების 56%-ით ზრდა<sup>35</sup>.

**PIISA-ს შედეგების გამოქვეყნების პარალელურად სამინისტროს მიერ დაანონსდა ახალი რეფორმა, რომელიც სასწავლო პროგრამის მოდიფიცირებასაც ითვალისწინებს.** ახალი რეფორმის მიხედვით<sup>36</sup>: პირველ ეტაპზე სკოლები თვითონ განსაზღვრავენ რა ფორმით და შემადგენლობით იმუშავენ სასწავლო გეგმაზე, რა რესურსით, რა მიდგომითა და მეთოდებით მიაღწევენ სასწავლო მიზნებს, ხოლო მეორე ეტაპზე შემუშავდება საშუალო საფეხურის ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის შეთავაზებული იქნება ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო ან პროფესიული პროგრამები. ასევე, ახალი მოდელის დანერგვის მიზნით შემუშავდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა ყოველი საფეხურის ბოლოს.

იმედი გვაქვს, რომ დაგეგმილი ცვლილებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

<sup>32</sup> <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5k990rk0jsji-en.pdf?expires=1681392294&id=id&accname=guest&checksum=00897B81D2ABE681F92359F7FAE6BBE0>

<sup>33</sup> შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, [წიგნიერება: მეოთხეკლასელთა მიღწევები და მათზე მოქმედი ფაქტორები](#), 2019

<sup>34</sup> [ზოგადი განათლების რეფორმა, 2023](#)

<sup>35</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

<sup>36</sup> [ზოგადი განათლების რეფორმა, 2023](#)